წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 7-16
10 05 2023წ.

გორი

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 24 ივნისის 7-18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ზ" ქვეპუნქტებისა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (04.05.2023. N497225) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 24 ივნისის 7-18 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:

ა.ა) „ზ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა.ბ) „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური;";

ბ) მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების და მიმდებარე ტერიტორიის დაცვა;

ბ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, შემოსვლისა და გასვლის, უნივერსიტეტის რეგულაციებით დადგენილი ქცევის წესების (წესრიგის) დაცვის მონიტორინგი, მათ შორის უსაფრთხოების კამერების მეშვეობით და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში დროული და ეფექტური რეაგირება;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა (უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მათი გადაადგილების პროცესში დახმარება);

დ) შრომის უსაფრთხოების სისტემის შემუშავება, უნივერსიტეტში დანერგვა და შესრულების კონტროლი; შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუდმივი ინფორმირებულობა, უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით

წინადადებების ინიცირება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის/რექტორისათვის წარდგენა;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა, საშიშროებების განსაზღვრა, შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება და მათი პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის და ტექნიკური საშუალებების განახლების, ინსტრუქტაჟის ჩატარების თაობაზე ან/და სხვა);

ვ) საუნივერსიტეტო (სამუშაო) სივრცეში მყოფი პირებისათვის (პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და სხვა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება: შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ; საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

ზ) შრომის უსაფრთხოების საკითხებზე საუნივერსიტეტო (სამუშაო) სივრცეში მყოფი პირებისათვის (პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და სხვა) სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, კონსულტაციის გაწევა, სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება, ასევე მათ მიერ მიღებული ცოდნის შემოწმება და ამ მიზნით ტესტირების, სიმულაციების და სხვა სახის შემოწმებების წარმოება, აუცილებლობის შემთხვევაში გარე ტრენინგების საჭიროების ინიცირება;

თ) რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით და კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი აქტივობების განხორციელება: უნივერსიტეტში არსებული შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება და მისი დოკუმენტირება; დადგენილი წესის შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, მათი სწორად გამოყენების გაკონტროლება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვლის ინიცირება; უნივერსიტეტში ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით, შემოწმების, გაზომვისა და შეფასების განხორციელების ინიცირება და ხელშეწყობა;

ი) უნივერსიტეტის რექტორისა „და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წინადადებების შემუშავება დაცვისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით;

კ) უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ლ) უნივერსიტეტის მიერ „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლობო აქტებით და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული აქტივობების/ვალდებულებების შესრულების ხელშეწობა და უზრუნველყოფა;

მ) უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების უსაფრთხო მუშაობისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა და დაცვის ტექნიკური საშუალებების (ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო) ფუნქციონირების მონიტორინგი."

2. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ გადაწყვეტილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 16 მაისს.

5. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე